სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/156

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2021 წ.

საქართველოს ეროვნულ პრემიაზე სამეცნიერო დარგში შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროფესორ გიორგი მაღალაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1 ოქტომბრის №01/10/01 განკარგულებით გამოცხადებულ საქართველოს ეროვნულ პრემიაზე სამეცნიერო დარგში შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ემერიტუს გიორგი მაღალაშვილის კანდიდატურა;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**